**თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს**
**2018 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი #4**

**დღის წესრიგი**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფისსამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 25**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 16 თებერვლის #4 სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს:** 1994 წელს თსუ კომერციის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზკვებაში *(დღე, დაუსწრებელი)* და მატერიალური რესურსების მართვა და წარმოების საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია *(დღე, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

*/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/*

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი კომერციის ფაკულტეტის 1994 წლის კურსდამთავრებული **ანზორ ხუჭიაშვილის** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

ანზორ ხუჭიაშვილის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალი-ფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფრმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო

მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ 1990 წელს ლენინგრადის ცელულოზა - ქაღალდის სამრეწველო ტექნოლოგიის ინსტიტუტის მესამე კურსელ **ანზორ რიჩარდის ძე ხუჭიაშვილს** ნება დაერთო განსხვავებული საგნების ჩაბარებისა 1990-91 სასწავლო წლის დაწყებამდე ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობის სპეციალობის დაუსწრებელი სწავლების მეორე კურსზე გადმოსაყვანად (ბრძანება №4/425, §7, 15.06.1990).

კომერციის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის 29 ივნისის სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1994 წლის 14 სექტემბრის №4/520 ბრძანებით კომერციის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების კურდამთავრებულ ანზორი რიჩარდის ძე ხუჭიაშვილს მიენიჭა კვალიფიკაცია - უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე, ვაჭრობის ორგანიზატორი, სპეციალობით - საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია.

1994 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი აუ№015708 (სარეგისტრაციო №01/1684) რეგისტრიებულია ანზორ რიჩარდის ძე ხუჭიაშვილის სახელზე.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1994 წელს კომერციის ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია კომერციის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 11 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი.

***კომერციის ფაკულტეტის №1 (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის*** *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. თ. ნანიტაშვილი; წევრები: პროფ. გ. მიქელაძე, დოც. შ. გველესიანი, დოც. გ. ქობლიანიძე, დოც. ე. ჩეჩელაშვილი)* მიერ 1994 წლის 24 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი. ყველა მათგანზე დაფიქსირებულია თარიღი და მინიჭებული აქვს ნომერი (№9).

***კომერციის ფაკულტეტის №2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის*** *(კომისიის თავმჯდომარე: კილაძე ჭაბუკი ალექსანდრეს ძე; წევრები: პროფ. გ. ს. ნადირაშვილი, დოც. იზ. თ. ადეიშვილი, დოც. მ. ს. ჩარექიშვილი, დოც. თ. გ. ჯაში, დოც. ა.ნ.ლამხია, დოც. ც.ვ.ურუტაძე)* მიერ 1994 წლის 29 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი. სამივე ოქმზე დაფიქსირებული თარიღი, მაგრამ არ აქვს ნომრები მინიჭებული. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთ ოქმზე, კერძოდ, საღამო განყოფილების კურსდამთვრებულთათვის ხარისხის მინიჭებისთვის განკუთვნილ ოქმზე არ არის დაფიქსირებული არც სპეციალობა და არც მინიჭებული კვალიფიკაცია. აღნიშნული ოქმის სპეციალობისა და კვალიფიკაციის განსაზღვრა განხილული იქნება მას შემდეგ, როდესაც დიპლომის დამზადების თაობაზე მოგვმართავს შესაბამისი სპეციალობის კურსდამთვრებული.

*კომერციის ფაკულტეტის №3 (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.კ. მ. ჭუმბურიძე; წევრები: პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. ა. გაგნიძე, პროფ. ზ. გრიგალაშვილი, დოც. ნ. ხმალაძე)* მიერ 1994 წლის 14, 17 და 24 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებული თარიღი და არ აქვთ მინიჭებული ნომრები.

*კომერციის ფაკულტეტის №... (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: დოც. ხმალაძე კ.ნ.; წევრები: პროფ. მ. ი. ღაღანიძე, დოც. ვ. ამირეზაშვილი, დოც. ჯ. წაქაძე, დოც. მ. ტოგონიძე)* მიერ 1994 წლის 15 და 27 ივნისს წარმოებულია თითო ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედ კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა.**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა შემდეგი:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 1994 წელს თსუ ყოფილი კომერციის ფაკულტეტის №1 (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:
   - ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელცოდნე*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი

- *კომერციის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №9, 24.06.1994;*

- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელცოდნე*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***კომერციის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №9, 24.06.1994;***
- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელცოდნე*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***კომერციის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №9, 24.06.1994.***

2. აღდგენილად ჩაითვალოს 1994 წელს თსუ ყოფილი კომერციის ფაკულტეტის №2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 29 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 29 ივნისი*** და ნომერად ***№1/ბ***;
   - ყოფილი კომერციის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***.....*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***.....*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 29 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 29 ივნისი*** და ნომერად ***№2/ბ***;
   - ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. ანზორ ხუჭიაშვილი) ***უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული

გადაწყვეტილების 1994 წლის 29 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 29 ივნისი*** და ნომერად ***№3/3***.

3. აღდგენილად ჩაითვალოს 1994 წელს თსუ ყოფილი კომერციის ფაკულტეტის №3 (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრიც კვებაში *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 14 ივნისი*** და ნომერად ***№1/3***;
   - ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 17 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 17 ივნისი*** და ნომერად ***№2/3***;
   - ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 24 ივნისი*** და ნომერად ***№3/3***

4. აღდგენილად ჩაითვალოს 1994 წელს თსუ ყოფილი კომერციის ფაკულტეტის №... (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული მატერიალური რესურსების მართვა და წარმოების საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციის *(დღე, საღამო)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი კომერციის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მატერიალური რესურსების მართვა და წარმოების საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 15 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო

კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 15 ივნისი*** და ნომრად ***№1/3***;

- ყოფილი კომერციის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***მატერიალური რესურსების მართვა და წარმოების საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№2/3***.

5. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი კომერციის ფაკულტეტის მიერ 1994 წლის 14, 15, 17, 24, 27 და 29 ივნისს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1. 1994 წლის 24 ივნისის კომერციის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 2. 1994 წლის 29 ივნისის კომერციის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 3. 1994 წლის 14, 17 და 24 ივნისის კომერციის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 4. 1994 წლის 15 და 27 ივნისის კომერციის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს**: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ეთერ ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქალბატონ ი. მშვენიერაძის წერილი, რომლითაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე იგი ითხოვს შუამდგომლობას, რათა მიენიჭოთ:

1. **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური** ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

| № | გვარი | სახელი | პირადი ნომერი |
|---|---|---|---|
| *დიპლომი ჩვეულებრივი:* | | | |
| 1 | გაგლოშვილი | ალექსანდრე | 59001119386 |
| 2 | გავაშელი | ბექა | 62002004362 |
| 3 | გველესიანი | აკაკი | 01027091020 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | თევდორაშვილი | თინათინი | 36001051839 |
| 5 | კაპანაძე | ფერიდე | 60001138554 |
| 6 | სამხარაძე | ვახტანგი | 18001070369 |
| 7 | შულაია | კახაბერ | 19001105367 |
| 8 | ჩაჩუა | თეა | 37001056955 |
| 9 | ჩიხლაძე | ნათია | 60001146864 |

2. **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური** ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

| № | გვარი | სახელი | პირადი ნომერი |
|---|---|---|---|
| *დიპლომი წარჩინებით:* | | | |
| 1 | ზეინკლიშვილი | ანა | 01027087543 |
| *დიპლომი ჩვეულებრივი:* | | | |
| 1 | ბეგაშვილი | მარიამ | 01027078342 |
| 2 | დარისპანაშვილი | გიორგი | 36001043630 |
| 3 | დიასამიძე | ნათია | 61004055782 |
| 4 | იმნაძე | რატი | 26001037561 |
| 5 | მაჩიტაძე | მარიამი | 60001148858 |
| 6 | მურველაშვილი | გიორგი | 20001063235 |
| 7 | ნიკოლაძე | ტიტე | 60001136336 |
| 8 | ოძელაშვილი | ანა | 01017052030 |
| 9 | სამადაშვილი | მარიამი | 14001027224 |
| 10 | სულეიმანოვი | რაშად | 28001107883 |
| 11 | ყველაშვილი | ზურაბი | 33001069100 |
| 12 | ჩუტკერაშვილი | მარი | 01001091155 |
| 13 | ხარაიშვილი | ნინო | 57001055075 |
| 14 | ხელაია | ილია | 01017057537 |
| 15 | ჯაბახიძე | სოფიკო | 59001099556 |

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა.**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. **მიენიჭოთ ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური** ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

| № | გვარი | სახელი | პირადი ნომერი |
|---|---|---|---|
| *დიპლომი ჩვეულებრივი:* | | | |
| 1 | გაგლოშვილი | ალექსანდრე | 59001119386 |
| 2 | გავაშელი | ბექა | 62002004362 |
| 3 | გველესიანი | აკაკი | 01027091020 |
| 4 | თევდორაშვილი | თინათინი | 36001051839 |
| 5 | კაპანაძე | ფერიდე | 60001138554 |
| 6 | სამხარაძე | ვახტანგი | 18001070369 |
| 7 | შულაია | კახაბერ | 19001105367 |
| 8 | ჩაჩუა | თეა | 37001056955 |
| 9 | ჩიხლაძე | ნათია | 60001146864 |

2. **მიენიჭოთ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური** ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

| № | გვარი | სახელი | პირადი ნომერი |
|---|---|---|---|
| *დიპლომი წარჩინებით:* | | | |
| 1 | ზეინკლიშვილი | ანა | 01027087543 |
| *დიპლომი ჩვეულებრივი:* | | | |
| 1 | ბეგაშვილი | მარიამ | 01027078342 |
| 2 | დარისპანაშვილი | გიორგი | 36001043630 |
| 3 | დიასამიძე | ნათია | 61004055782 |
| 4 | იმნაძე | რატი | 26001037561 |
| 5 | მაჩიტაძე | მარიამი | 60001148858 |
| 6 | მურველაშვილი | გიორგი | 20001063235 |
| 7 | ნიკოლაძე | ტიტე | 60001136336 |
| 8 | ოძელაშვილი | ანა | 01017052030 |
| 9 | სამადაშვილი | მარიამი | 14001027224 |
| 10 | სულეიმანოვი | რაშად | 28001107883 |
| 11 | ყველაშვილი | ზურაბი | 33001069100 |
| 12 | ჩუტკერაშვილი | მარი | 01001091155 |
| 13 | ხარაიშვილი | ნინო | 57001055075 |
| 14 | ხელაია | ილია | 01017057537 |
| 15 | ჯაბახიძე | სოფიკო | 59001099556 |

**მოისმინეს:** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობის 1999 წლის კურსდამთავრებულ გიორგი კერვალიშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **გიორგი დემურის ძე კერვალიშვილი** 1996 წელს განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით, გადმოყვანილი იქნა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის, დღის სწავლების მაკროეკონომიკის სპეციალობის II კურსზე (ბრძანება №4/746, 09.13.1996).

ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების 1999 წლის კურსდამთავრებულ გიორგი კერვალიშვილს მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით,** ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1999 წლის 13 ივლისის №4/607 ბრძანებით - **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მაკროეკონომიკის სპეციალობით ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1999 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№02710 (სარეგისტრაციო №01/234) რეგისტრირებულია გიორგი კერვალიშვილის სახელზე.

ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებაში (№4/607, 13.07.1999) მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში დაფიქსირებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დაკორექტირდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. შესწორდეს და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით კურსდამთვრებულთათვის (მ.შ. გიორგი კერვალიშვილი) მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი თსუ რექტორის ბრძანებაში (ბრძანება №4/607, 13.07.1999) მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, მინიჭებული ხარისხის ნაცვლად ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაცით“*** მიენიჭოთ ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“***.

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

*/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსიე. ხარაიშვილი/*

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის 2003 წლის კურსდამთავრებულ **დათუნა (დავით) ქარსელაძისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხისა და სპეციალობის კორექტირებასთან დაკავშირებით. საქმის შესწავლისას თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად აუცილებელი გახდა დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებისა საფუძველზე დადგინდა, რომ**დათუნა გივის ძე ქარსელაძე** 1999 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაზე (ბრძანება №4/732, 05.08.1999). 2000 წელს განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტიდან გადაყვანილ იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის დღის სწავლების II კურსზე (ბრძანება №4/1057, §1, 26.10.2000).

ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №6) დღის განყოფილების კურსდამთავრებულ დავით ქარსელაძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 17 სექტემბრის №4/1017 ბრძანებით „საგადასახადო საქმის“ სპეციალობით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2003 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№10652 (სარეგისტრაციო №01/179) რეგისტრირებულია დავით ქარსელაძის სახელზე.

2000 და 2003 წლის საუნივერსიტეტო ბრძანებებში და საგამოცდო კომისიის 2003 წლის შემაჯამებელი სხდომის ოქმებში ეკონომიკის ფაკულტეტზე დათუნა ქარსელაძის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება. ასევე, ეკონომიკის ფაკულტეტზე 2003 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში არ არის რეგისტრირებული დიპლომი დათუნა ქარსელაძის სახელზე.

დავით ქარსელაძის სახელზე გაცემულ დიპლომში აღნიშნულია, რომ **„დავით ქარსელაძე 1999 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და 2003 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.**

***შენიშვნა:*** *აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაცემულ ბაკალავრის დიპლომში (B №10652, სარეგისტრაციო №01/179) დაშვებულია შეცდომა. კერძოდ, დ. ქარსელაძე 1999 წელს ჩაირიცხა არა ეკონომიკის ფაკულტეტზე, არამედ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე. იგი ეკონომიკის ფაკულტეტზე მოგვიანებით, 2000 წელს იქნა გადაყვანილი. ასევე, დიპლომში მითითებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების თარიღშიც შეცდომაა დაშვებული - 2003 წლის 17 ივნისის ნაცვლად უნდა იყოს 2003 წლის 18 ივნისი.*

წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ 1999 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე ჩაირიცხა დათუნა გივის ძე ქარსელაძე (ბრძანება №4/732, 5.08.1999). 2000 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტიდან ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე იქნა გადაყვანილი დავით გივის ძე ქარსელაძე. კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მიერ წარმოებულ სტუდენტის სასწავლო ბარათზე დაფიქსირებულია დათუნა გივის ძე ქარსელაძე, ხოლო ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ წარმოებულ სასწავლო ბარათზე დავით გივის ძე ქარსელაძე. ამავე ბარათზე სპეციალობის დასახელებაში მითითებულია „საგადასახადო

საქმე“. კურსდამთავრებულ დავით გივის ძე ქარსელაძეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №6, 18.06.2003) მიენიჭა „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/1017, 17.09.2003) – „საგადასახადო საქმის“ სპეციალობით.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური შეეცადა გაერკვია ეკონომიკის სპეციალობაზე არსებობდა თუ არა სპეციალობა „საგადასახადო საქმე“. შესაძლებლობის ფარგლებში მოძიებული იქნა თსუ-ს მიერ 2003 წელს გამოცემული „ნორმატიული დოკუმენტების კრებული“ და 2005 წელს გამოცემული „უნივერსიტეტი ინსტიტუციური აკრედიტაციის მიჯნაზე“. ორივე გამოცემიდან დასტურდება, რომ ეკონომიკის ფაკულტეტზე ბაკალავრიატში ერთ-ერთი სპეციალობა იყო „ფინანსები და საბანკო საქმე“. „სახელმწიფო ფინანსების“, „საბანკო საქმის“, „საგადასახადო საქმის“, „სადაზღვევო საქმის“ და „საბაჟო საქმის“ სპეციალობები ფუნქციონირებდა მაგისტრატურაში. იმ პერიოდის კათედრის თანამშრომლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ბაკალავრიატში იყო სპეციალობა „ფინანსები და საბანკო საქმე“, რომელსაც ჰქონდა სპეციალიზაციები. მათ შორის იყო სპეციალიზაცია „საგადასახადო საქმე“. როგორც ჩანს დ. ქარსელაძემ დაამთავრა „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობა „საგადასახადო საქმის“ სპეციალიზაციით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალობა „ფინანსები და საბანკო საქმე“ სწორად არის მითითებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმში (№6, 18.06.2003). ხოლო თსუ რექტორის ბრძანებაში (№4/1017, 17.09.2003) სპეციალობის ნაცვლად შეცდომით არის დაფიქსირებული სპეციალიზაცია „საგადასახადო საქმე“.

დავით ქარსელაძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№6, 18.06.2003) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/1017, 17.09.2003) მინიჭებულ ხარისხთან. ამიტომ დავით ქარსელაძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (BN№10652, სარეგისტრაციო №01/179) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსები და საბანკო საქმე“ სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №6, 18.06.2003) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს ნაცვლად ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“*** მიენიჭოთ ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“***. ამასთან, უნდა შესწორდეს დიპლომში დაფიქსირებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების თარიღი და 2003 წლის 17 ივნისის ნაცვლად უნდა დაფიქსირდეს 2003 წლის 18 ივნისი.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №6, 18.06.2003) გადაწყვეტილებით დავით ქარსელაძისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრებულ დავით ქარსელაძეს მინიჭებული ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“*** ნაცვლად მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“***.
2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში*(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი №6, 18.06.2003)*.

**მოისმინეს:** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების პროექტი. აღნიშნული პროექტი საბჭოს წევრებს დაეგზავნათ ელექტრონულად. ქ-მა ე. ხარაიშვილმა მოკლედ მიმოიხილა ის ცვლილებები, რაც შეტანილია აღნიშნულ პროგრამებში. ასევე, დამატებით წარმოადგინა შემდეგი ცვლილებები:

ა. სასწავლო კურსი ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ განისაზღვროს წინაპირობის გარეშე, ხოლო სასწავლო კურსებს ,,კორპორაციათა ფინანსები“ და ,,საჯარო ფინანსები“ - წინაპირობად დაუდგინდეს ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები.“ სხვა ფაკულტეტისათვის განკუთვნილ პროგრამაში დასახელებულ საგნებს შეეცვალათ სემესტრები.

ბ. ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდულში ,,საერთაშორისო ეკონომიკა“ არჩევითი კურსის ,,ტრანსფორმაციული ეკონომიკა“ ავტორებად მიეთითოს პროფ. ა. სილაგაძე და ასოც. პროფ. ლ. ბახტაძე.

გ. სადოქტორო პროგრამებში ,,ეკონომიკა,“ ,,ბიზნესის ადმინისტრირება,“ ,,ტურიზმი,“ სასწავლო კომპონენტიდან ამოღებულ იქნას კოლოკვიუმები (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილების #130/2017, 6 ნოემბერი, 2017წ. შესაბამისად); განახლდეს პროგრამის ხელმძღვანელების CV-ები; პროგრამიდან ,,ეკონომიკა“ ამოღებულ იქნას სადისერტაციო თემების ჩამონათვალი. პროგრამიდან ,,ტურიზმი“ ამოღებულ იქნას კრედიტების გაანგარიშების წესი.

**აზრი გამოთქვეს:** ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა, პროფ. თ. შენგელიამ, პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. ს. გელაშვილმა, პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ, პროფ. თ. ბერიძემ.

**გაიმართა კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების პროექტი (იხ. დანართი).

**მოისმინეს:** აკად. ავთანდილ სილაგაძის განცხადება.

აკად. ავთანდილ სილაგაძემ ისაუბრა ფაკულტეტზე მინდინარე პროცესებზე და აღნიშნა, რომ საჭიროა მოხდეს ინგლისურენოვანი კურსების რევიზია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის დეკანატის მიერ.

მან ასევე ისაუბრა ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის კანონპროექტზე, ასევე ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორის“ დოკუმენტის შესახებ და გამოთქვა თვალსაზრისი, რომ საჭიროა ფაკულტეტს მიეცეს სრული ინფორმაცია კლასიფიკატორთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:**

**დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. ბერიძემ** - მან აღნიშნა, რომ ეს წინადადებები მისთვის მისაღებია და გამოთქვა მზადყოფნა მის განსახორციელებლად უმოკლეს ვადებში.

**გაიმართა კენჭისყრა.**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა (პროფ. თ. ბერიძე) წარმოადგინოს წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ მონაწილეობდა დეკანატიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანი ს თაობაზე კანონპროექტის განხილვაში, რომელიც ითვალისწინებს ბაკალავრიატში და მაგისტრატურაში სწავლების ვადების შემცირებას;

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა (პროფ. თ. ბერიძე) წარმოადგინოს წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ არ მოხდა „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ დოკუმენტის პროექტის განხილვა ფაკულტეტზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: თ. ბერიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე